Natia Kakhniashvili
E.mail:Natia.kakhniashvili@tsu.ge
Doctor of Business Administration
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
orcid.org/0009-0004-0759-198X

Khatuna Barbakadze
E.mail:Khatuna.barbakadze@tsu.ge
Candidate of Economic Sciences
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
orcid.org/0009-0001-1670-8463

Nato Kakashvili
E.mail:Nato.kakashvili@tsu.ge
Candidate of Economic Sciences
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia
orcid.org/0009-0005-1399-1784

FACTORS DETERMINING THE EFFECTIVENESS OF PENSION SYSTEM REFORMS IN GEORGIA

Abstract. *Pension policy is a critical component of a state's social policy. Current global trends, particularly those associated with population aging, have heightened the need for effective pension system reforms. The stability and efficiency of pension systems are vital elements of a society's social welfare infrastructure, ensuring financial support for retirees and promoting their well-being in old age. However, pension systems face significant challenges due to demographic shifts, economic fluctuations, and evolving societal expectations. Traditional pension systems often struggle to fully meet the needs of retirees, and many existing schemes experience substantial volatility, jeopardizing their long-term sustainability. As a result, the need for pension system reform has become increasingly urgent. To address these challenges, states must implement more comprehensive reforms aimed at effectively modernizing their pension systems.*

Pension reform refers to the process by which a government or employer makes substantial changes to the structure, policies, and regulations governing pension benefits. Successful reforms typically require thorough analysis, consultation with stakeholders, and legislative action to ensure effective implementation.

The pension system of Georgia has undergone several important stages of reform in recent decades. After gaining independence, the country implemented socio-economic transformations, which were accompanied by demographic aging and shifts in labor market dynamics. These changes underscored the need for reforms in the pension system.

The pension system faces several significant challenges. Foremost among these is the demographic trend of an aging population coupled with a declining birth rate, which poses a serious threat to the long-term

sustainability of the system. Additionally, the expanding informal labor market and high unemployment levels further complicate the situation, creating obstacles that could undermine the stability of pension benefits for future retirees. Addressing these fiscal challenges requires the implementation of innovative policies that ensure adequate retirement income for citizens while maintaining the system's viability.
The reform of the pension system requires the joint participation of the government and society. The government should strengthen supervision and management, create an effective management and supervision mechanism of the pension system. Pension system reform is complex. Different countries have different levels of economic development, demographic structure, social security system, etc.

Key words: *pension system, reform, efficiency, risks, modernization.*

JEL classification: *H 55, J1*

ნათია კახნიაშვილი
E.mail:Natia.kakhniashvili@tsu.ge
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
orcid.org/0009-0004-0759-198X
ხათუნა ბარბაქაძე
E.mail:Khatuna.barbakadze@tsu.ge
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
orcid.org/0009-0001-1670-8463
ნატო კაკაშვილი
E.mail:Nato.kakashvili@tsu.ge
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
orcid.org/0009-0005-1399-1784

საპენსიო სისტემის რეფორმების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში

აბსტრაქტი. *საპენსიო პოლიტიკა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდგენელია. მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები, რომელიც უკავშირდება მოსახლეობის დაბერების პროცესს, ზრდის მოთხოვნას საპენსიო სისტემის რეფორმების ეფექტურ განხორციელებაზე. საპენსიო სისტემების სტაბილურობა და ეფექტიანობა ნებისმიერი საზოგადოების სოციალური კეთილდღეობის ინფრასტრუქტურის გადამწყვეტი*

კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს პენსიონერთა ფინანსურ მხარდაჭერას და მათ კეთილდღეობას ხანდაზმულ ასაკში. თუმცა, ეს სისტემები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან დემოგრაფიული ცვლილებების, ეკონომიკური რყევების და საზოგადოების მოლოდინების ცვლილების კვალდაკვალ. ხშირად, ტრადიციული საპენსიო სისტემებს არ შეუძლია პენსიონერთა საჭიროებების სრულად უზრუნველყოფა და მრავალ ქვეყანაში არსებული საპენსიო სქემები განიცდის მნიშვნელოვან რყევებს, რაც საფრთხეს უქმნის მათ შესაძლებლობას შეასრულონ დასახული მიზანი მომავალში. შესაბამისად, საპენსიო სისტემის რეფორმის საჭიროება სულ უფრო აქტუალური ხდება. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებს ჭირდებათ მეტად ამბიციური რეფორმების გატარება, რომლებიც მიზნად ისახავს საპენსიო სისტემების ეფექტიან მოდერნიზაციას.

საპენსიო სისტემის რეფორმა გულისხმობს მთავრობის ან დამსაქმებლის მიერ საპენსიო შეღავათების მარეგულირებელ სტრუქტურაში, პოლიტიკასა და რეგულაციებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის პროცესს. წარმატებული რეფორმები ხშირად მოითხოვს ღრმა ანალიზს, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებსა და საკანონმდებლო მოქმედებას ცვლილებების ეფექტიანად განხორციელებისთვის.

საქართველოს საპენსიო სისტემამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში რეფორმების რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ქვეყანაში განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციები, რასაც თან ახლდა დემოგრაფიული დაბერება და შრომის ბაზრის დინამიკის ცვლილებები. ამ ცვლილებებმა ხაზი გაუსვა საპენსიო სისტემაში რეფორმების გატარების აუცილებლობას.

საპენსიო სისტემას თან ახლავს რიგი გამოწვევები. მათ შორის უპირველესი არის მოსახლეობის დაბერების დემოგრაფიული ტენდენცია შობადობის კლებასთან ერთად, რაც მნიშვნელოვან საფრთხეებს უქმნის საპენსიო სისტემის მდგრადობას. ასევე, მზარდი არაფორმალური შრომის ბაზარი და უმუშევრობის მაღალი დონე წარმოადგენს დამატებით დაბრკოლებებს, რაც საფრთხეს უქმნის მომავალი პენსიონერებისათვის საპენსიო შეღავათების გრძელვადიან სტაბილურობას. ამგვარი ფისკალური გამოწვევების მოგვარება მოითხოვს ინოვაციური პოლიტიკის დანერგვას,რომელიც დაუბალანსებს მოქალაქეებისთვის ადეკვატურ საპენსიო შემოსავლებს.

საპენსიო სისტემის რეფორმა მოითხოვს მთავრობისა და საზოგადოების ერთობლივ მონაწილეობას. მთავრობამ უნდა გააძლიეროს ზედამხედველობა და მენეჯმენტი, შექმნას საპენსიო სისტემის ეფექტიანი მართვისა და ზედამხედველობის მექანიზმი. საპენსიო სისტემის რეფორმა არის კომპლექსური. სხვადასხვა ქვეყანას აქვს ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონე, დემოგრაფიული სტრუქტურა, სოციალური უზრუნველყოფის სისტემა და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: *საპენსიო სისტემა, რეფორმა, ეფექტიანობა, რისკები, მოდერნიზაცია*

JEL კლასიფიკაცია: *H 55, J1*

შესავალი

საკითხის აქტუალობა. საქართველოს საპენსიო სისტემა ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაში მოსახლეობის დაბერების ტემპი და შრომის ბაზრის ცვლილებები ქვეყანაში მოითხოვს საპენსიო სისტემის მდგრადობისა და ეფექტიანობის გაზრდას. 2019 წელს ამოქმედებული დაგროვებითი საპენსიო სისტემა და მისგან მომდინარე სოციალური, ეკონომიკური და ფინანსური სარგებელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა კვლავ რჩება გამოწვევები, რომლებიც გავლენას ახდენს სისტემის ეფექტიანობაზე. აუცილებელია იმ ფაქტორების დადგენა და ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავენ საპენსიო რეფორმების ეფექტიანობას და შეაფასებენ ამ რეფორმების გავლენას მოქალაქეთა სოციალურ კეთილდღეობაზე.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია, გამოვავლინოთ და შევისწავლოთ ის ფაქტორები, რომლებიც საქართველოს საპენსიო რეფორმების ეფექტიანობას განსაზღვრავს, და განვიხილოთ არსებული სისტემის ოპტიმიზაციის შესაძლებლობები, რათა გაიზარდოს მისი მდგრადობა და მოქალაქეთა ფინანსური კეთილდღეობა პენსიაზე გასვლის შემდგომ.

კვლევის ამოცანები. კვლევის მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები: საქართველოს საპენსიო სისტემის განვითარების ისტორიული და სტრუქტურული ანალიზი; დაგროვებითი საპენსიო სისტემის ძირითადი პრინციპების და რეფორმის შედეგების შეფასება; ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ საპენსიო რეფორმების ეფექტიანობაზე; სისტემის გაუმჯობესების და შემდგომი რეფორმების შესაძლო მიმართულებების განსაზღვრა.

ჰიპოთეზები. კვლევის პროცესში შემუშავებულია შემდეგი ჰიპოთეზები: საპენსიო სისტემის ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმების ბაზრის ფორმალიზაციის დონესთან; საპენსიო რეფორმების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია მოსახლეობის ინფორმირებულობაზე და რეფორმის მიმართ ნდობის დონეზე; სოციალური და დემოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, აუცილებელია საპენსიო სისტემის უფრო მოქნილი მოდელის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს მისი მდგრადობის ზრდას.

კვლევა ემსახურება ამ ჰიპოთეზების შემოწმებას და ქვეყნის საპენსიო სისტემის გაუმჯობესების კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს რეფორმების ეფექტიანობას და მოსახლეობის ფინანსურ კეთილდღეობას.

საპენსიო სისტემის რეფორმების ეფექტიანობის განსაზღვრა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და მრავალფეროვან ანალიტიკურ ინსტრუმენტებს. მოცემულ კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ

ანალიზს, რაც საშუალებას მოგვცემს, სრულყოფილად შევისწავლოთ და შევაფასოთ არსებული საპენსიო სისტემა და რეფორმები.

კვლევის მეთოდები მოიცავს შემდეგს: **დოკუმენტურ ანალიზს** – მიმდინარე საპენსიო სისტემისა და რეფორმების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი წყაროა სხვადასხვა კანონები, რეფორმის საკანონმდებლო დოკუმენტები, ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემები. ამ გზით შესაძლებელია სისტემის სტრუქტურის, ძირითადი კომპონენტებისა და რეფორმის ჩარჩო პირობების განსაზღვრა; **კონკრეტული შემთხვევების (ქეისების) შესწავლას** – საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება მნიშვნელოვანია საპენსიო სისტემის შედარებით ანალიზში. ამით გამოიკვეთება ის მოდელები, რომლებიც ეფექტურად ფუნქციონირებს და შესაძლოა საქართველოსთვისაც წარმატებული იყოს; **რეგრესიულ და კორელაციურ ანალიზს** – რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, რომელიც სტატისტიკური მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ამ მიდგომებით შესაძლოა განისაზღვროს როგორ მოქმედებს სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური ფაქტორი (მაგ., დასაქმების დონე, საშემოსავლო მაჩვენებლები, დემოგრაფიული ცვლილებები) საპენსიო სისტემის ეფექტიანობაზე და მდგრადობაზე; **SWOT ანალიზს** – რეფორმის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა, რაც მიზნად ისახავს სისტემის შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზს.

მეთოდოლოგიის შესაბამისობა კვლევის მიზნებთან. ეს მრავალმხრივი მიდგომა შეესაბამება კვლევის მიზნებს, რომლებიც მოიცავს საპენსიო რეფორმების ეფექტიანობის შესწავლას, ფაქტორების ანალიზს, რომლებიც ამ ეფექტიანობას განაპირობებს, და საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებას სისტემის გაუმჯობესებისთვის. დოკუმენტური ანალიზი და საერთაშორისო ქეისების შესწავლა უზრუნველყოფს საპენსიო სისტემის რეფორმების ფარგლებში მიღებული კანონების და რეგულაციების საფუძვლიან ანალიზს. რეგრესიული და კორელაციური ანალიზი ხელს შეუწყობს ჰიპოთეზების შემოწმებას, რომლებიც საპენსიო რეფორმების წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებს ეხება.

კვლევის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს საპენსიო სისტემის დეტალური ანალიზი, მისი ისტორიული განვითარებიდან დღემდე. ასევე კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია ფინანსური და დემოგრაფიული მონაცემების ანალიზი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს, რა ტენდენციები ახასიათებს საქართველოს შრომის ბაზარს, მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას და ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საპენსიო რეფორმების ეფექტიანობაზე. შედეგად მიღებულ ანალიზზე დაყრდნობით გამოვლენილი იყო საპენსიო რეფორმების ძირითადი გამოწვევები და წარმატების ფაქტორები.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა და, კერძოდ, საპენსიო სისტემა, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან მოსახლეობის დაბერების ტემპი მუდმივად მზარდია, ხოლო პენსიონერთა სოციალური მოთხოვნილებები კიდევ უფრო იზრდება. საპენსიო სისტემის განვითარება და რეფორმა მიზნად ისახავს ამ საჭიროებების დაკმაყოფილებას და სოციალური სამართლიანობის, ეკონომიკური მდგრადობის და მომავალი თაობების ფინანსური დაცვის უზრუნველყოფას.

საპენსიო სისტემა საქართველოში საბჭოთა პერიოდშიც არსებობდა, თუმცა მისი სტრუქტურა სახელმწიფო ცენტრალიზებულ სოციალურ დახმარებაზე იყო აგებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეკონომიკური კრიზისის შედეგად, პენსიის მიღების შესაძლებლობა მკვეთრად შეიზღუდა და დღის წესრიგში დადგა საპენსიო სისტემის რეფორმების აუცილებლობა.

1990-იანი წლებიდან დღემდე, სისტემამ რამდენიმე ეტაპი განვლო, თუმცა მისი სტრუქტურა ჯერ კიდევ საჭიროებს განახლებას. 2019 წელს განხორციელდა ახალი რეფორმა, რომლის მიზანიც საპენსიო სისტემის მდგრადობის ამაღლება და მოქალაქეებისთვის მეტი ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა იყო. 2019 წლის საპენსიო რეფორმამ ახალი სტრუქტურა და დანახარჯის სქემა შემოიღო. ახალი მოდელი მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, დააგროვონ დამატებითი თანხები საპენსიო ასაკისთვის და მიიღონ შემოსავალი, რომელიც მათ ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. რეფორმის ძირითადი მახასიათებლებია: **სავალდებულო შენატანები:** 40 წლამდე დასაქმებულებისთვის, რაც უზრუნველყოფს დაფინანსების სტაბილურობას, განსაზღვრული შენატანების (DC) სქემა, სადაც საპენსიო შენატანებს ახორციელებს, როგორც დასაქმებული, ასევე დამსაქმებელი და სახელმწიფო, შენატანების თანაბარი
პროცენტული ოდენობის (2%+2%+2%) გადახდის პრინციპით;(ბარბაქაძე ხ,2023) **ფინანსური რესურსების მართვა:** საპენსიო ფონდი შენატანების ფორმირების მართვას ახდენს, რაც ინვესტირების მეშვეობით ზრდის ფონდის ფინანსურ მდგრადობას და პენსიის ოდენობას; **ფულის განაღდება:** განსაზღვრული ასაკის მიღწევის შემდეგ, პენსიონერები იღებენ დანაზოგს, რაც მათ პენსიაზე გასვლისას ფინანსურ დახმარებას სთავაზობს.

საპენსიო სისტემის რეფორმების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები. საპენსიო სისტემის რეფორმების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში მნიშვნელოვანია, რადგან ეს რეფორმები მიზნად ისახავს სოციალური უსაფრთხოების გაძლიერებას და მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. სისტემის ეფექტიანობა დამოკიდებულია რამდენიმე ძირითად ფაქტორზე, რომელთა შორისაა ეკონომიკური, დემოგრაფიული, ინსტიტუციური და სამართლებრივი ასპექტები. საპენსიო რეფორმის წარმატება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის **ეკონომიკურ ფაქტორებთან** და მასთან დაკავშირებულ მაჩვენებლებთან,

როგორიცაა: **ეკონომიკური ზრდა**: ეკონომიკის ზრდის ტემპი და სტაბილურობა განსაზღვრავს, რამდენად შეძლებს სახელმწიფო და კერძო სექტორი პენსიონერთა ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებას; **შრომის ბაზრის სტაბილურობა**: საპენსიო რეფორმის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სტაბილური დასაქმების შესაძლებლობები და უმუშევრობის დაბალი დონე. რაც უფრო მეტ ადამიანს ექნება მუდმივი სამსახური, მით უფრო მეტად შეძლებენ საპენსიო დანაზოგის ფორმირებას; **ინფლაცია და ფულად-კრედიტური პოლიტიკა**: ინფლაცია მნიშვნელოვანი რისკია, რადგან ის პირდაპირ გავლენას ახდენს პენსიების ღირებულებაზე. მუდმივი ინფლაცია აქრობს დაგროვებული ფულადი სახსრების რეალურ ღირებულებას. ასევე მნიშვნელოვანია **დემოგრაფიული ფაქტორები.** საქართველოს დემოგრაფიული სურათი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საპენსიო რეფორმის ეფექტიანობაზე. მაგალითად, **მოსახლეობის დაბერება**: თანამედროვე ეპოქაში საპენსიო სისტემა მუდმივ წინააღმდეგობაშია იმ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებთან, რომელიც დემოგრაფიულ პროცესებთანაა დაკავშირებული. (კახნიაშვილი ნ, 2023) საქართველოში, როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში, მოსახლეობის დაბერების ტენდენცია შეინიშნება. რაც უფრო მეტი ადამიანი გადის პენსიაზე და ნაკლები მოსახლეობა შედის შრომის ბაზარზე, მით უფრო რთული ხდება სახელმწიფოს მხრიდან პენსიების დაფინანსება. საქართველოს მოსახლეობის შესახებ მონაცემების მიხედვით, საპენსიო ასაკს მიღწეული პირების რაოდენობა მუდმივად იზრდება. ქვემოთ მოცემულია ბოლო 5 წლის სტატისტიკური ცხრილი, რომელიც აჩვენებს საპენსიო ასაკს მიღწეულ პირთა რაოდენობის ცვლილებას.

ცხრილი 1. საპენსიო ასაკის მიღწეული პირების რაოდენობა

საპენსიო ასაკის მიღწეული პირების რაოდენობა	**წელი**
838,000	2023
808,326	2022
793,751	2021
783,705	2020
762,621	2019

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეს მონაცემები აჩვენებს ზრდის ტენდენციას, რაც ქვეყნის მოსახლეობის დაბერებასა და შესაბამის სოციალურ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. **დაბალი შობადობა**: დაბალი შობადობა ასევე წარმოადგენს გამოწვევას, რადგან მომავალში ნაკლები

ადამიანი დარჩება შრომისუნარიან ასაკში, რაც ზეწოლას ქმნის საპენსიო სისტემაზე. **ემიგრაცია**: საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ემიგრაცია, განსაკუთრებით შრომითი ემიგრაცია, რაც ამცირებს საპენსიო სქემაში მონაწილეთა რაოდენობას და ზრდის ქვეყნის სოციალურ ზეწოლას. (**ჩადუნელი**, მ 2021).

შემდეგი ფაქტორია **საპენსიო სისტემის ინსტიტუციური გარემო,** რომელიც საპენსიო რეფორმის წარმატებისთვის ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს. მნიშვნელოვანია ძლიერი და გამართული ინსტიტუციური მექანიზმები, როგორიცაა **საპენსიო სააგენტოს ეფექტიანობა**: დაგროვებითი საპენსიო სისტემის ეფექტიანობის ერთ-ერთი კრიტიკული ფაქტორია საპენსიო სააგენტოს გამართული და გამჭვირვალე მუშაობა. ის უნდა იყოს ეფექტური აქტივების მართვაში, საინვესტიციო სტრატეგიების შემუშავებაში და სისტემის გამჭვირვალობის შენარჩუნებაში; **საინვესტიციო გარემო**: საპენსიო სისტემის წარმატებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საინვესტიციო გარემოს მდგრადობა და განვითარება. ინვესტიციების მართვა ქვეყნის შიდა ბაზარსა და საერთაშორისო აქტივებში პენსიონერთა მომავლის ფინანსური უზრუნველყოფისთვის კრიტიკული მნიშვნელობისაა. მაგალითად, 2024 წლის 22 ოქტომბერს საპენსიო სააგენტომ განახორციელა 150 მილიონი ლარის ინვესტიცია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) გლობალური საშუალო ვადიანი ობლიგაციების (GMTN) პროგრამის ფარგლებში განთავსებულ ევრო ობლიგაციებში. აღსანიშნავია, რომ მცურავი განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდები ლარშია დენომინირებული, ვადიანობა კი 5 წლით განისაზღვრა. EBRD-ის უმაღლესი საკრედიტო რეიტინგის (AAA) მქონე ობლიგაციებში საპენსიო აქტივების ინვესტირება აუმჯობესებს საპენსიო სააგენტოს პორტფელის ხარისხს, ზრდის აქტივების დივერსიფიკაციას. აღნიშნული ინვესტიცია ამყარებს საპენსიო სააგენტოს მიზანს, რომ საიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით განაგრძოს პორტფელის დივერსიფიკაცია, რათა საპენსიო აქტივები იმართოს უმაღლესი სტანდარტების მიხედვით.(საპენსიო სააგენტო,2024). **ფინანსური განათლების დონე**: მნიშვნელოვანია მოსახლეობის ფინანსური განათლების ზრდა, რათა მოქალაქეებმა უკეთ გაიგონ დაგროვებითი სისტემის მნიშვნელობა და მისგან მიღებული სარგებელი. სისტემაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის წახალისებისთვის აუცილებელია ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება. **სამართლებრივი და რეგულატორული ფაქტორები**. დაგროვებითი საპენსიო სისტემა საქართველოში რეგულირდება საქართველოს კანონით, დაგროვებითი პენსიის შესახებ. საპენსიო რეფორმის წარმატებისთვის მყარად განსაზღვრული და გამჭვირვალე კანონმდებლობა და რეგულაციები მნიშვნელოვანია. მაგალითად, **კანონმდებლობის სიმტკიცე**: საპენსიო რეფორმა მტკიცე კანონმდებლობას უნდა ეფუძნებოდეს, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობას, გამჭვირვალობასა და დაცულობას. (აბრამიშვილი გ, 2019). ეს აძლიერებს მოსახლეობის ნდობას და

უსაფრთხოების განცდას; **სახელმწიფო გარანტიები**: საპენსიო სისტემისადმი ნდობის გასაზრდელად, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული გარანტიები, რომლებიც მოქალაქეებს დაცულობას მისცემს საინვესტიციო და საპენსიო რისკების დაზღვევის კუთხით.

მნიშვნელოვანი ფაქტორია **მონაწილეობის დონე და საზოგადოებრივი ნდობა.** საპენსიო სისტემის რეფორმის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ნდობით აღჭურვილია სისტემა და რამდენად აქტიურად მონაწილეობს მოსახლეობა მასში: **ნებაყოფლობითი ან სავალდებულო მონაწილეობის მაჩვენებელი**: სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად აუცილებელია მონაწილეთა რაოდენობის ზრდა, განსაკუთრებით ნებაყოფლობითი მონაწილეების რიცხვი. 2024 წლის მონაცემების მიხედვით, საპენსიო აქტივების მთლიანი ღირებულება 3.35 მლრდ ლარს შეადგენს. ხოლო წმინდა ამონაგები 512.6 მლნ-ი ლარია. საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ მონაწილეების რიცხვი 1395 მლნ-ია. დღეისათვის, სხვადასხვა კატეგორიის 3 551 პირმა ისარგებლა დაგროვებითი პენსიით და გაცემულმა თანხამ შეადგინა 9 722 021.67 ლარი. (საპენსიო სააგენტო,2024) **მოსახლეობის ნდობა სისტემისადმი**: თუ საზოგადოებას მაღალი ნდობა აქვს საპენსიო სისტემის მიმართ, ეს დადებითად იმოქმედებს სისტემის მდგრადობაზე. ნდობის ნაკლებობა კი შეიძლება შეამციროს მონაწილეთა რაოდენობა და შესაბამისად, რეფორმის წარმატება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია **სოციალური და პოლიტიკური გარემო.** საპენსიო რეფორმის მდგრადობისათვის აუცილებელია სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობა. რეფორმის გრძელვადიანი წარმატებისთვის მნიშვნელოვანია **პოლიტიკური და სოციალური მხარდაჭერა.** რაც გულისხმობს მოქმედი და მომავალი ლიდერების, საზოგადოების მხარდაჭერას, რათა რეფორმა სწორად განხორციელდეს და მოსახლეობა აქტიურად ჩაერთოს დაგროვებით სისტემაში.

რეფორმის დადებითი მხარეები და გამოწვევები. საპენსიო რეფორმის ძირითადი უპირატესობებია სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფა და მოქალაქეთა ფინანსური მდგომარეობის გაძლიერება. დაგროვებითი სისტემა ზრდის საპენსიო ფონდს და სახელმწიფოს დანახარჯების შესამცირებლად მნიშვნელოვან ალტერნატივად შეიძლება იქცეს. **რეფორმის გამოწვევები** მოიცავს: **დასაქმების ბაზრის ფორმალიზაცია:** არაოფიციალური დასაქმების მაღალი მაჩვენებელი აფერხებს სისტემის დაფინანსებას, რაც საჭიროა მეტი პენსიონერის დასაფინანსებლად. **დაბალი შემოსავლები:** არსებობს მოსახლეობის დიდი კატეგორია, რომელიც თუმცა მუშაობს, მაგრამ მათი ხელფასი არასაკმარისია თავისი და კმაყოფაზე მყოფთა გამოსაკვებად. (კახნიაშვილი ნ, 2023) დაბალშემოსავლიანი დასაქმებულთათვის კი სავალდებულო შენატანი დამატებით ფინანსურ სირთულეს

ქმნის, რაც რეფორმის ეფექტიანობას ამცირებს. **მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება:** მოქალაქეებმა კარგად უნდა გაიგონ სისტემის სარგებელი და მნიშვნელობა, რათა ჩართულობა გაიზარდოს.

კვლევის შედეგები

საპენსიო სისტემის რეფორმების ეფექტიანობის შეფასება საქართველოში კომპლექსური საკითხია, რომელიც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს. ამ თემაზე კვლევის შედეგების დეტალური აღწერა შეიძლება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით განიხილოს: 1. **საპენსიო რეფორმების ძირითადი მიზნები და მიდგომები**; კვლევა აჩვენებს, რომ საპენსიო რეფორმების მთავარი მიზანი სოციალური დაცვის გაუმჯობესებაა, რაც მოსახლეობის ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება, განსაკუთრებით ხანდაზმულ ასაკში. საქართველოში მოქმედი დაგროვებითი საპენსიო სისტემა უმთავრესად ორიენტირებულია შემოსავლის ხანდაზმულ ასაკში უზრუნველყოფაზე, კერძო და სახელმწიფო წვლილით დასაბუთებული მოდელის საფუძველზე. **2. პოლიტიკური და სამართლებრივი ფაქტორები:** რეფორმების წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სამართლებრივ და პოლიტიკურ ფაქტორებზე. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საპენსიო სისტემის ცვლილების იურიდიული ბაზა, მისი დებულებები და კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებები განსაზღვრავს, რამდენად გამჭვირვალე და სტაბილური იქნება რეფორმა. საკანონმდებლო ბაზის სისრულე და რეგულაციების დაცვა ნდობის ფაქტორზე უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. **3. ეკონომიკური გარემო და მაკროეკონომიკური ფაქტორები**: საქართველოს ეკონომიკური სტაბილურობა, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები და ფინანსური ინსტიტუტების განვითარება ასევე განსაზღვრავს საპენსიო რეფორმების ეფექტიანობას. კვლევაში განიხილება, როგორ აისახება საპენსიო ფონდის საინვესტიციო აქტივობა ეროვნული ეკონომიკის მდგრადობაზე და ინვესტიციების დივერსიფიკაციაზე. საგულისხმოა, რომ მცირე და ღია ეკონომიკის მქონე საქართველოსთვის საჭიროა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის შესაბამისი გარემოს ფორმირება და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. (კახნიაშვილი ნ, 2022). **4. სოციალური და დემოგრაფიული ფაქტორები** დემოგრაფიული პროცესები, როგორიცაა დაბერების ტემპი, შობადობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საპენსიო სისტემაზე. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ დაბერების მაღალი ტემპი ზრდის საპენსიო სისტემის დატვირთვას, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს დაბალი შობადობისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირების ფონზე. 5. **პოპულაციის ნდობა და ჩართულობა:** კვლევის შედეგებით ჩანს, რომ მოსახლეობის ნდობის დონე და ჩართულობა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია საპენსიო რეფორმების წარმატებისთვის. კვლევაში აღნიშნულია, რომ ნდობა პირდაპირ

კავშირშია ინფორმაციის გამჭვირვალობასთან და კომუნიკაციის ხარისხთან. მონაწილეთა ინფორმირების მაღალი დონე და ფინანსური განათლება ქმნის მყარ საფუძველს მოსახლეობის რეფორმაში ჩართულობის გასაზრდელად. **6. სისტემის მდგრადობა და გრძელვადიანი პერსპექტივა**: კვლევის დასკვნით ნაწილში განხილულია საპენსიო სისტემის მდგრადობა. აქ გამოიკვეთა, რომ სისტემის ეფექტიანობა დამოკიდებულია ინვესტიციების სტრატეგიულად მართვაზე, ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერაზე და პენსიის მიმღებთა მატერიალური პირობების გაუმჯობესებაზე. ამავდროულად, სისტემის მდგრადობა დაკავშირებულია სამუშაო ძალის სტაბილურობასთან და დასაქმების ბაზრის განვითარების პერსპექტივებთან.

დასკვნა

საპენსიო სისტემის რეფორმების ეფექტიანობა საქართველოში დამოკიდებულია ეკონომიკურ და დემოგრაფიულ კონტექსტებზე, ინსტიტუციურ მექანიზმებზე, რეგულატორულ გარემოზე და მოსახლეობის ნდობაზე. სისტემის წარმატება და მდგრადობა მჭიდრო კავშირშია ეკონომიკური ზრდის, ეფექტიანი საინვესტიციო სტრატეგიების, ფინანსური განათლებისა და საკანონმდებლო სტაბილურობის ფაქტორებთან. საპენსიო სისტემის რეფორმების ეფექტიანობა საქართველოში დამოკიდებულია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ და ინსტიტუციურ ფაქტორზე. სტაბილური ეკონომიკური ზრდა, დასაქმების ბაზრის ფორმალიზაცია, კერძო სექტორის ჩართულობა, და დემოგრაფიული ცვლილებების გათვალისწინება არის უმთავრესი პირობები, რომლებიც საქართველოს საპენსიო სისტემას მდგრად და ეფექტიანს გახდის. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში საპენსიო რეფორმების ეფექტიანობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორის გამორჩეულია ეკონომიკური სტაბილურობა, სამართლებრივი რეგულაციები, ნდობის ხარისხი და ინვესტირების ეფექტიანობა. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, რეკომენდებულია საპენსიო სისტემის რეგულაციების სრულყოფა, საინვესტიციო პოლიტიკის დივერსიფიკაცია და მოსახლეობის ფინანსური განათლების გაძლიერება, რაც საერთო ჯამში ხელს შეუწყობს საპენსიო სისტემის მდგრადობას და ეფექტიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

REFERENCES

აბრამიშვილი გ, ,. (2019). საპენსიო რეფორმების სამართლებრივი ასპექტები საქართველოში“. *გამომცემლობა ,, ივერია“,.*

ბაკურაძე ლ. (2021). საპენსიო რეფორმების ეკონომიკური ანალიზი საქართველოში. *ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრი.*

ბარბაქაძე ხ, კ. ნ. (2023). საპენსიო სისტემების განვითარების ძირითადი მიმართულებები და პერპექტივები. *ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“*, 37-43.

დაგროვებითი პენსიის შესახებ, ს. კ. (2024). *matsne.gov.ge* . Retrieved from matsne.gov.ge : matsne.gov.ge

კახნიაშვილი ნ. (2022). საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების მიმართულებები საქართველოში. *TSU*.

კახნიაშვილი ნ. (2023). ინკლუზიური ბიზნეს მოდელები და ქართული რეალობა. *ჟურნალი: „ბიზნესი და კანონმდებლობა“,, N 1*., გვ. 113-117;.

კახნიაშვილი ნ, ბ. ხ. (2023). დაგროვებით საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული რისკები,პრობლემები და მათი დაძლევის გზები. *VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში”, შრომების კრებული*, 175-180.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მ. დ. (2024). *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობა და დემოგრაფია*. Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობა და დემოგრაფია,2024.: geostat.ge

სსიპ საპენსიო სააგენტო, დ. ს. (2024-2023). *https://www.pensions.ge/ka/public-information/news/The-pension-agency-summarized-the-results-of-2023*. Retrieved from https://www.pensions.ge/ka/public-information/news/The-pension-agency-summarized-the-results-of-2023: https://www.pensions.ge/ka/public-information/news/The-pension-agency-summarized-the-results-of-2023

ჩადუნელი, მ. (2021). დემოგრაფიული ცვლილებების გავლენა საპენსიო სისტემის რეფორმებზე საქართველოში. *სოციალური კვლევის ცენტრი.*